კიევსა და კრასნოდარში
„დინამო“ (კიევი) – „დინამო“ (თბილისი) 3:1 (1:0).

ჩვენი ქვეყნის ამ ორი საუკეთესო გუნდის მატჩში თბილისელები თავიანთ შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად გამოყურებოდნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და მეორის დასაწყისში. ხშირი იყო შეცდომები დაცვაში. შუა მინდორში ყოვნდებოდნენ ნახევარმცველები, რომლებიც იშვიათად ამარაგებდნენ შორეული, ზუსტი გადაცემებით თავდამსხმელებს, ეს უკანასკნელნი კი პასიურობდნენ, ვერ აჩერებდნენ ბურთს შეტევის ხაზზე. ასეთ ვითარებაში კიეველებს საშუალება მიეცათ მთელი ძალით, აქტიურად ეთამაშათ. მათ 36–ე წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში (ბალი).

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს მოპირდაპირე დაცვისა და მეკარის შეცდომები, ბალტაჩამ და ევტუშენკომ თითქმის ზედიზედ გაიტანეს გოლები – 3:0.

და მხოლოდ მაშინ, როცა გუცაევის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დაინიშნა პენალტი და შენგელიამ გაქვითა ერთი ბურთი, შედარებით გამოცოცხლდნენ სტუმრები. მათ რამდენიმე შეტევა განავითარეს, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. გაიმარჯვეს ჩემპიონებმა.

გუნდების შემადგენლობანი: კიევი – ჩანოვი, სოროკალეტი, ბალტაჩა, ჟურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ბალი, ხლუსი (ხაპსალისი), ევტუშენკო (ბოიკო), ბლოხინი; თბილისი – გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე (ცავა), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია. მსაჯობდა ბაქოელი ე. აზიმ–ზადე, გააფრთხილეს გუცაევი და ბოიკო.

დუბლიორები – 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

„ლელო“, 27 მარტი, 1982 წ.